ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ᲒᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

წერილის ნომერი: **17-01172842151**

თარიღი: **11.10.2017**

ადრესატი:
თენგიზ გოგინაშვილი
პირადი ნომერი: 59001012048
მისამართი: ჩირგაძის ქ.N3

ბატონო თენგიზ,

საქსახურში შემოსული თქვენი N19/011725301595-17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ,,დელისი-3"-ის საცხოვებელ მიკრორაიონიში (ნაგვეთი 01/021) (საგ. კოდი N01.14.15.001.021) 2016 წლის 01 თებერლის N2407145 (AR1370429) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თაკიდან ასაცილებლის მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ და ჩარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების, გაბარიტი, ნახატი, რაოდენობა და ადგილმდებარეობა. შეცვლილია აივნების ფორმა და გაბარიტი. აგურის მოპირკეტების გაბარიტი არ არის აღნიშნული პროექტში. შეცვლილია კოლონების გაბარიტი და გაზრდილია რაოდენობა. შეცვლილია შიდა კიბის ფორმა და საფეხურების რაოდენობა. მონოლითური და ბლოკის კედლები აღნიშნულია მსგავსი დაფერვით. შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. გაუქმებულია ფუნდერმაქსის მოპირკეთება. ნაწილობრივ გაუქმებულია ან შეცვლილია ლითონის ცხაურის ფორმა. დამატებულია გამათბობლის ქვაბები, საკელიტურო თეფშები და კონდიციონერები.

-5.20 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.8მ-ით. შეცვლილია კედლების განლაგება.

-2.60 ნიშნულზე ,,ა-ა" ,,ე-ე" და ,,7-7" ღერძების გარეთ დამატებულია მონოლითური კედლები.

პირველ სართულზე ,,4-7" მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა, შემცირებულია კიბის გაბარიტი და გაზრდილია საფეხურების რაოდენობა. შემცირებულია ტერასის გაბარიტი და გაზრდილია შიდა ფართი. ,,ბ-ბ" ღერძზე გაუქმებულია კოლონები. ,,ბ-ბ" და ,,4-4" ღერძზე კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი.

+25.600 ნიშნულზე ,,ე ა" მონაკვეთში შემცირებულია აივნის ფართი.

მანსარდის სართულზე შეცვლილია გარე კედლების ფორმა. შეცვლილია აივნის ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირის მასალა.

შეცვლილია სახურავის ფორმა და დამატებულია სამანქანე. მოწყობილია სახურავზე ასასვლელი კიბე. სახურავზე დამატებულია გამწოვი შახტები.

,,1-7" ფასადზე ,,ნ-ხ" ღერძთან გაზრდილია ფილის გაბარიტი, რის გამოც +3.200 ნიშნულიდან +25.600 ნიშნულის ჩათვლით გაზრდილია საცხოვრებელი ფართი და დამატებულია აივნები.

,,ვ-ა" ფასადზე გაუქმებულია ფრანგული აივნების ფილა.

,,ა-ა" და ,,7-7" ღერძების გარეთ დამატებული მონოლითური კედლები სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის

შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე